შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

DAAD

Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი

კოორდინატორები:

მარიამ ბეციაშვილი

ნათია პაპავა

2026

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს:

- სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში;
- სამეცნიერო პრაქტიკის გაზიარებითა და საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების გზით გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში;
- თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სამეცნიერო მიმართულებები

საგრანტო კონკურსი მოიცავს DAAD-ის კლასიფიკატორის შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

- ენები და კულტურის კვლევები;
- სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები;
- მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- მედიცინა;
- ვეტერინარული მედიცინა, მეტყევეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები;
- ინჟინერია;
- ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები.



© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

კონკურსში მონაწილე სუბიექტები

საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ **სტაჟირებას გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში:**

- ✓ **ახალგაზრდა მეცნიერების (პოსტდოქტორანტების)** – საქართველოს მოქალაქე, რომლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან **კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 12 წლისა**;
- ✓ **დოქტორანტების** – საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ✓ **ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების** - საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე და რომელსაც დისერტაციის ადგილობრივ ხელმძღვანელთან ერთად, სამეცნიერო თანახელმძღვანელობას უწევს გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალი.

პროექტის ხანგრძლივობა

ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წარდგენილი პროექტისთვის - არანაკლებ 2 თვისა და არაუმეტეს 6 თვისა

დოქტორანტის მიერ წარდგენილი პროექტისთვის - 3 თვე

ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის მიერ წარდგენილი პროექტისთვის - 6 თვე

სტაჟირების პერიოდი: 2026 წლის 1 ივნისი - 30 ნოემბერი

ბიუჯეტი

	ახალგაზრდა მეცნიერი	დოქტორანტი
სტიპენდია	2,150 ევროს ეკვივალენტი ლარში	1,400 ევროს ეკვივალენტი ლარში
მგზავრობა	395 ევროს ეკვივალენტი ლარში	395 ევროს ეკვივალენტი ლარში
ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯები	1,650 ევროს ეკვივალენტი ლარში	
დოქტორანტისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის დაზღვევის ხარჯები	ყოველთვიურად 76.60 ევროს ეკვივალენტი ლარში.	

კონკურსზე განაცხადების რეგისტრაცია

- DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე - 15 აპრილის 23:00 სთ
- ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) - 15 აპრილის 17:00 სთ
- კანცელარიაში განცხადების წარდგენა - 15 აპრილის 17:00 სთ

საკონკურსო დოკუმენტაცია - DAAD

საკონკურსო დოკუმენტაცია ივსება ინგლისურ ან გერმანულ ენაზე

- ✓ საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე);
- ✓ **CV** (არაუმეტეს 3 გვერდისა);
- ✓ **პუბლიკაციების ჩამონათვალი** (არაუმეტეს 3 გვერდისა);
- ✓ დეტალურად გაწერილი **კვლევითი პროექტი** (არაუმეტეს 4 გვერდისა);
- ✓ ჩასატარებელი კვლევის **ადგილისა და დროის გეგმა** (გეგმა-გრაფიკი);
- ✓ მასპინძელი მხარის **მოწვევის წერილი**, რომელიც გამოხატავს თანხმობას, სტიპენდიის მიღების შემთხვევაში ითანამშრომლოს სტიპენდიანტთან. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტში/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე.
- ✓ შევსებული **დეკლარაციის ფორმა** გერმანიის სამეცნიერო ხელმძღვანელისგან.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საკონკურსო დოკუმენტაცია - DAAD

საკონკურსო დოკუმენტაცია ივსება ინგლისურ ან გერმანულ ენაზე

ახალგაზრდა მეცნიერი

დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

ქართულ ენაზე გაცემული დოკუმენტები უნდა ითარგმნოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე და დამოწმდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

დოქტორანტი

ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, აკადემიური მოსწრების მითითებით

ერთი **სარეკომენდაციო წერილი** გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საკონკურსო დოკუმენტაცია - GMUS

საკონკურსო დოკუმენტაცია ივსება ქართულ ენაზე

- **კრებსითი ინფორმაცია** (დანართი №2, ივსება GMUS-ში);
- **კვლევითი პროექტი ქართულ ენაზე** (დანართი №3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);
- **CV** (ნებისმიერ ფორმატში, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);
- **პროექტის ბიუჯეტი ქართულ ენაზე** (დანართი №4, გენერირდება GMUS-ში კრებსითი ინფორმაციის შევსების საფუძველზე);
- **განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ** (დანართი №5, გენერირდება GMUS-დან) წარსადგენია ფონდის კანცელარიაში ამობეჭდილი და ხელმოწერილი.

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

კანცელარიაში რეგისტრაცია



პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირის „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №5, გენერირდება GMUS-იდან);

- ✓ წარმოსადგენია ფონდის კანცელარიაში ამობეჭდილი და ხელმოწერილი.
- ✓ ასატვირთია DAAD-ის პორტალზე ხელმოწერილი, დასკანირებული

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

DAAD
Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

ფონდი და DAAD გისურვებთ
წარმატებას !

www.rustaveli.org.ge
https://www.daad-georgia.org/ka/